დამარცხება ლენინგრადში

გუშინ თბილისის დინამოელებს მორიგი კალენდარული მატჩი ჰქონდათ სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ლენინგრადის თანაკლუბელთა გუნდთან.

თბილისელები ძალზე წარუმატებლად ატარებენ მეორე წრის გასვლით მატჩებს. საკმარისია ითქვას, რომ საკუთარ მინდორზე ბაქოს "ნეფტიანიკთან" მოგებული თამაშის შემდეგ, მათ მოწინააღმდეგეთა სტადიონებზე ჩაატარეს 5 შეხვედრა, რომელთაგან 4 ფრედ დაამთავრეს და 1 წააგეს. ამ პასივს გუშინ დაემატა კიდევ ერთი დამარცხება ლენინგრადში.

"დინამო" თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: კოტრიკაძე, სიჭინავა, პეტრიაშვილი, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, ხელაძე, დათუნაშვილი, მეტრეველი, კალოევი, ბარქაია, მესხი. მატჩის მე-12 წუთზე ჩოხელმა ცუდად ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე და საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი. მეორე ტაიმის 26-ე წუთზე ლენინგრადელმა კუზიაევმა გოლით დაამთავრა ერთ-ერთი შეტევა და მასპინძლებმა გამარჯვებით დაამთავრეს მათთვის ეს მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა - 2:0.

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობების მატჩი მოიგეს თბილისელებმა - 2:0.

"ლელო", 3 ოქტომბერი, 1963 წ.